# სახალხო გაზეთი

№ 214 კვირა, 23 იანვარი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 214

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящ. N 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

## სახალხო გაზეთი

(კვირეულ სურათებიანი დამატებით).

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 0. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.



ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქცია აუწყებს საზოგადოებას, რომ თავის რედაქტორის

**მარიამ ივანეს ასულის დემურიას**

გარდაცვალების წლის თავზე გარდახდილი იქნება პანაშვიდი 23 იანვარს, ნაშუადღ. 1 ს., ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში. (2—2)

დღეს, 23 იანვარს, პირველს საათზე გარდახდილი იქნება ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში ნახევარი წლის პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვალებულის ოზურგეთის სამოქალაქო სკოლის ინსპექტორად ნამყოფ

**ექვთიმე პეტრეს ძის გორგასლიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც ატყობინებენ ნათესავთ და ნაცნობთ ღრმა მწუხარებასა შინა მყოფნი მეუღლე განსვენებულისა ანნა იაკობის ასული და ასული ნინა გორგასლიძენი. (1—414—1)

20 იანვარს, ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში, გარდაიცვალა ფერშალი

**გიორგი გაბრიელის ძე ცხოვრებაძე,**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი ნატალია გიორგის ასული შვილებითურთ და სიმამრი მისი გიორგი შალვას ძე ზანგურაძე. გამოსვენება დღეს დილის 9 საათზე ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (1—416—1)

შვილები და შვილთა-შვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ სიდედრის

**ქეთევან თევდორეს ასულის ბოძიევის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23 იანვარს, საღამოს 7 საათზე. გამოსვენება 24 იანვარს, მე-7 ნაწილში, მეტეხის აღმართის ქუჩაზე, № 9, დარიის მონასტერში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (1—45—1)



## ქართული თეატრი

კვირას, 23 იანვარს,

ქართულ-დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება თ. აკაკის ცნობილი ისტორიული პიესა

**პატარა კახი,**

დრამა 5 მოქ.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: ლეჟავა, ჯავახიშვილი. ბ-ნი არადელი, გუნია, გვარამძე, ჟივიძე, ზარდალიშვილი, მდივანი, მატარაძე, საფაროვი, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრ. საზოგად. რეჟისორი ვ. გუნია.

27 იანვარს ბენეფისი ე. ჩერქეზიშვილისა, წარმოდგენილი იქნება „ნიღილისტიკა“. (2—2)

## ტფილისის კრუჟოკში

კვირას, 23 იანვარს,

ქართულ-დრამატიულ საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად

გაიმართება

**მუსიკალურ-ლიტერატურული საღამო და ცეკვა**

თეატრის დარბაზში შეასრულებენ ბ-ნნი კნინა და ვასილიევი ბეტხოვენის „კრეიცერის სონეტას“. აგრეთვე გაიმართება ლიტერატურული გასამართლება პოზდნიშევისა, ლევ ტოლსტოის „კრეიცერის სონეტიდან“. ბრალმდებელნი: მ. ანდრეევი და ახ. მალხაზოვი. დამცველნი: ი ბაბუშკინი და ვ. რუტკოვსკი. დასასრულ ცეკვა-თამაში, კოტილიონი და საზანდარი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შესასვლელი ფასი 1 მ. 10 კ., სტუდენტები და კურსისტებისთვის 55 კ. ბილეთები იყიდება ქართულ თეატრის კასაში და კვირას კრუჟოკში შვეიცართან. (4—4)

## ქუთაისში

მეფე მიხეილის სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მეთვალყურე კომიტეტი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხსენებულ ბანკის მესხებელთა საარჩევნო კრება, წესდების მე-80 მუხლის თანახმად, დანიშნულია ქ. ქუთაისში, ბანკის დარბაზში, პირველ რიგის ამრჩეველთათვის 25, მეორე რიგისა—27 და მესამე რიგისა—28 თებერვალს 1911 წ. დილის 10 საათზე; ამასთანავე საარჩევნო კრებები იმავე წესდების მე 84 მუხლის თანახმად, კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს. (3—50—3)



## დაიბეჭდა და იყიდება

ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების შემდეგი გამოცემანი:

**ზაქ. პ. ფალიაშვილის:**

№ 1. „მრავალ-ჟამიერ“; მგოსნის აკაკი წერეთლის 50 წლ. იუბილეს გამო ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპიანოს აკკომპანიმენტით ფასი 30 კაპ.

№ 2. ორი ქართული რომანსი: ა) „ნანა შვილო“ ფასი 40 კ. და ბ) „ახალ აღნაგო სულო“ ფასი 40 კაპ.

№ 3. „ქართული საეკკლესიო საგალობლები“ (ქართლ-კახური კილო) წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესისა ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფასი 1 მან. 25 კაპ.

№ 4. რვა ქართული სახალხო სიმღერა ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპ. აკკომპანიმენტით ფასი 1 მან.

№ 5. ქართული სახალხო სიმღერების კრებული (იმერული, გურული, რაჭული, სვანური და ქართლ-კახური), ფონოგრაფის შემწეობით ჩაწერილი. ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება ყველა სამუსიკო მაღაზიებში

და აგრეთვე წიგნის მაღაზიებში: წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა და „Новая Рѣчь“-ში (გოლოვინ. პროსპ. მირზოევის სახლი), ქუთაისში: წიგნის მაღაზიებში: თ. მთავრიშვილისა და ძმ. მირაქოვებისა. მთავარი საწყობი ტფილ. ქართ. ფილარმონიული საზოგადოების გამგეობაში (საპიერის ქუჩა N 18). (10—315—10)

ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების

## სამუსიკო სკოლა

(საპიერის ქუჩა, ქლენტის სახლი № 18).

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასი, სიმღერისა (solo), თეორიისა და ნოტების კითხვის (solfegio) და ხოროს კლას. დაიწყება 2 იანვ. ყოველ დღე (კვირა-უქმ. გარდა) მთელ სასწავლო წლის განმავლობაში, დილის 10 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე, და საღამოს 5—7 საათამდე, სკოლის კანტორაში. ახლად მოწვეულნი არიან მასწავლებლად კიდევ: ფორტეპიანის კლას. ტფილ. საიმპერ. სამუსიკო სასწავლებელ დამთავრებული ქალ. ს. შაბურთავისა და სკრიპკის კლას. გამოჩენილ სკრიპკის დამკვრელ. სოლისტ ფრანც ონდრიჩეკთან (ვენაში) კურსდამთავრებული ვ. კ. რომიშოვსკაია. სწავლის ფასი: ფორტეპ., სკრიპკისა, ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 60 მ. წელიწადში, მხოლოდ სიმღერა (solo) 75 მ., თეორია, და ნოტების კითხვა 15 მან. წელიწადში, სწავლის ფულის გადახდა მოხდება ნახევარი წლისა წინ და წინ.

სწავლა დაიწყება 7 იანვრიდან. (8—332—7)

ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა

## წინამძღოლი

სთხოვს ბ. ბ. გუბერნიის თავად-აზნაურობას მობრძანდნენ 23 იანვარს დილის 11 საათზე საგუბერნიო საგანგებო კრებაზე, სათავად-აზნაურო თეატრის დარბაზში.

კრების საგანია კახეთის რკინის გზის საქმის განაღდების მოხსენება. 3—47—3

ავლაბრის ქართული სახალხო წარმოდგენების

## მმართველი წრე,

ამით აუწყებს წევრებს და იმ პირთ, რომელნიც თანაუგრძნობენ წრის მიზანს, რომ კვირას, 23 იანვარს, 1911 წ. ავლაბრის კლუბის დარბაზში, შესდგება პირველი საყოველთაო წრის კრება.

კრების საგანს შეადგენს:

1) განხილვა დამტკიცებულ წრის წესდებისა; 2) მიღება ახალის წევრებისა; 3) არჩევა 5 გამგეობის წევრისა და 2 კანდიდატისა და 4) არჩევა 3 სარევიზიო კომისიის წევრისა და 2 კანდიდატისა.

კრების დასაწყისი დილის 11 საათზე. (3—46—3) წრის წარმომ. თ. ზ. ნასიძე.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი საშშობიარო განყოფილება.

ქუკნიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვერცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღით და ღამით.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

ბედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ, და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2^1/_2$ ს.

ხოლოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—377)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

კარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. ჯაჯანიძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ზ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პოპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$ $12^1/_2$ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6,—540)



## ქართული საამხანაგო „ხორო“

— 40 კაცისაგან შემდგარი —

რომელიც ასრულებს განსაკუთრებით

**„ხალხურ სიმღერებს“**

იღებს მონაწილეობას: კონცერტებზე, სასიმღ. პიესებში, წარმოდ. და სხვ. აზჭალის მოედ. N 13.4.—6 ს.-დე. 3—3

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N 2.

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. კოლოტკინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** რ. დ. მაჭავარიანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—180—73

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე. საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** ჯაფარიძე ქ. ქუთაისში ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვების და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—138—69

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს კვირაობით მხოლოდ საღამოს 6—7 საათამდე დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—33)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე გირონის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოს 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—302

**ექიმი** ქ. ქუთაისში თ. ტყეშელაშვილი იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. გირალოვის სახლი, (50—15—12

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ორშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

## საავადმყოფო

საშშობიარო განყოფილებით ექიმის

## ივ. გოკიელისა

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (30—405—24)


## ტფილისი, 23 იანვარი

**ქალაქის გამგეობის წევრის არჩევნები.** გუბერნატორმა ივ. სპ. ჯაბადარი ქალაქის გამგეობის წევრად არ დაამტკიცა, და ეს გარემოება მაშინვე საგაზეთო ბრძოლის საგნად გადაიქცა. ჯერ პოლემიკას თავის უმაღლეს წერტილამდე არ მიუღწევია, მაგრამ უკვე იმდენი რამ ისეთი ითქვა, რასაც პირდაპირი კავშირი არა აქვს არჩევნებთან, რომ მომავალში დიდს საგაზეთო გაცხოველებას უნდა მოველოდეთ. საკითხი ფრიად მარტივია, და ამიტომ ყველასათვის ადვილი გასაგებიც უნდა გახდეს. ჯაბადარის არჩევამდე ქალაქის თვით-მმართველობის მესვეურებს ჰქონდათ გარკვეული გარდაწყვეტილება, გამგეობის წევრად აუცილებლად ქართველი აერჩიათ. ლამაზი სიტყვები იმის შესახებ, რომ ჩვენ მხოლოდ ქალაქის საქმეებისთვის სასარგებლო კაცი უნდა ავირჩიოთო, მართლაც მხოლოდ ლამაზი სიტყვებია. ადვილად შესაძლებელია სწორედ მხოლოდ ამ მოსაზრებით ისარგებლეთ და კანდიდატი კი მაინც ქართველებში მოსძებნეთ, რადგანაც ქართველი საზოგადოება, არც ისე ღარიბია მცოდნე პირებით, რომ გამგეობის ზევრს ეხლანდელ წევრსაც არ გადააჭარბოს. პოლემიკის ამ ნიადაგზე გადატანას მხოლოდ მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა ქართველებში, რომ ქალაქის მეურნეობისთვის გამოსადეგი კაცი არ აღმოჩენილიყო და გამგეობაში კი მაინც ქართველი აერჩიათ. ეს პირდაპირი ღალატი იქნება ქალაქის საქმეებისა და ამისთანა ღალატს ვერც ერთი პროგრესიული გაზეთი ვერ იკადრებდა.

ჩვენის აზრით, სწორედ ასე აყენებს საკითხს „ზაკავკაზსკაია რეჩ“-ი, როდესაც გამგეობის წევრად აუცილებლად ქართველის არჩევასა თხოულობს. ნაციონალიზმი და შოვინიზმი აქ არაფერს შუაშია. ეს მხოლოდ ბავშვები! დასაშინებლად აშვებული შუშხუნაა და ამიტომ საზოგადოების სერიოზულ ნაწილზედ იგი ვერავითარს შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს. გამგეობის წევრის კანდიდატი შეიძლება უსათუოდ ქართველიც იყოს და ამასთანავე ქალაქის მეურნეობისთვისაც სასარგებლო. ეს ორი ერთი მეორის საწინააღმდეგო მომენტი არ არის, როგორც ბევრსა ჰგონია. პირიქით, მათში შეერთება ძალიან ადვილია. თუ ქალაქის მესვეურები, ისინი, ვისაც დღევანდელი მახინჯი საარჩევნო სისტემა ქალაქის ბედ-იღბალს ხელში უგდებს, სხვანაირად მოიქცნენ, მხოლოდ ერთს დაამტკიცებენ: თავიანთ ნაციონალიზმს.

როგორც ზევითაცა ვსთქვით, ქართველებში ბევრი მოიძებნება ისეთი კანდიდატი, რომელიც ქალაქის მეურნეობისთვის სასარგებლო იქნება. თუ მიუხედავად ამისა, ქალაქის მესვეურებმა მაინც სომეხი კანდიდატი აირჩიეს, ამით მხოლოდ იმას დაამტკიცებენ, რომ ქართველი კანდიდატი არა სურთ. ეს კი ნაციონალიზმია, სწორეთ ის ვიწრო ნაციონალისტური პოლიტიკა, რომელსაც სომხები დიდი ხანია აწარმოებენ ქალაქის თვით-მმართველობაში და რომელსაც არ მოიშლიან იმ დრომდე, სანამ განახლებული საარჩევნო სისტემა ახალს მიმდინარეობას არ შეიტანს ტფილისის მუნიციპალიტეტში.

დემოკრატიულმა ჯგუფმა ქალაქის გამგეობის წევრად ჯაბარი დაასახელაო, გვაუწყებენ გაზეთები. ჯაბარის კანდიდატურის შესახებ ჩვენ არაფერს ვიტყვით, მაგრამ ნუ თუ მასზე მომზადებულ დემოკრატიულმა ჯგუფმა ქართველებში ვერავინ აღმოაჩინა? ეს ხომ მთელი ქართველობის გაწირავებაა? ეს ხომ მასხარად აგდებაა მთელი ინტელიგენციისა? ან რაში გამოიჩინა ბ-ნმა ჯაბარმა ესოდენი ცოდნა ქალაქის თვით-მმართველობის საქმეებისა? ბროშიურებში, რომლებსაც ელვის სისწრაფით აცხობს არჩევნების წინ? რა ცოტა ყოფილა საჭირო „მცოდნე კაცის“ დიპლომის მისაღებად! ამასთანავე რა სიბეცეს იჩენს „ქართველებისაგან შემდგარი“ დემოკრატიული ჯგუფი, როდესაც ჯაბარზე მცოდნესა და ქალაქის მეურნეობისთვის სასარგებლო კაცს მთელს ქართველებში ვერა ჰპოულობს!..

არჩევნების წინ პოლემიკა მწვავდება. ჩვენ, როგორც არა ერთხელ გამოგვითქვამს, აქტიურს მონაწილეობას არ ვიღებთ ამ პოლემიკაში, რადგანაც გამგეობაში ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენლის არჩევა დახლართულ ეროვნულ კვანძს ვერ გახსნის. საჭიროა არა ამნაირი პალიატივი, არამედ უფრო ძირითადი რეორგანიზაცია. ქართველებიც ტფილისის მცხოვრებლები არიან. ამიტომ მათაც სრული ზნეობრივი უფლება აქვთ პირდაპირი მონაწილეობა მიიღონ ქალაქის საქმეებში. ეს კი მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გამგეობის არჩევა გაბატონებულ ერის ნება-სურვილზე კი არ იქნება დამყარებული, არამედ ქართველ ამომრჩეველთა რეალურს ძალაზე. ამ რეალურ ძალის მოსაპოვებლად საჭიროა

ქართველ ამომრჩეველთა შეკავშირება, ერთის აზრით გამსჭვალვა და შეთანხმებული მოქმედება. ეკონომიურად ქართველობა თან და თან ძლიერდება ტფილისში. დროთა მიმდინარეობით, როდესაც ერთის მხრით ერობა იქნება შემოღებული და მეორის მხრით თვით ქალაქის თვითმმართველობის საარჩევნო სისტემა შეიცვლება, ტფილისის ქართველებს აღმოაჩნდებათ საკმაო ძალა თავის ეროვნულ ინტერესების დასაცველად და რეალურ ძალის შესადგენად. მაშინ ქართველები არც ისე გარიყულნი დარჩებიან ქალაქის თვით-მმართველობის ცხოვრებიდან, როგორც დღეს არიან. ჩვენ ამაში ღრმათა ვართ დარწმუნებულნი და ამიტომ დღეს გაბატონებულ სომხის ნაციონალისტებს ხვეწნითა და მუდარით ვერ მივმართავთ და მუდარით ვერ მივმართავთ წყალობის გასაცემად. მაგრამ სანამ ეს დრო დადგებოდეს, ქართველმა ამომრჩევლებმა გულ-გრილად არ უნდა უცქირონ ყველა იმას, რაც დღეს ქალაქის თვით-მმართველობის გარშემო ხდება. საჭიროა შეგნებული მუშაობა. შეგნებას კი მხოლოდ სისტემატიური მუშაობა ჰბადებს. ამიტომ ტფილისის ქართველებმა დღესვე უნდა გაითვალისწინონ საქმის ვითარება, ჩაუკვირდნენ ძალთა განწყობილებას და ამა თუ იმ საზოგადოებრივ ჯგუფთა მისწრაფებებს და მოემზადნონ იმ დროსთვის, როდესაც შეკავშირებულ ამომრჩეველთა ძალა ეროვნულ ინტერესების დასაცველად საჭირო გახდება.

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**გუჩკოვი თავმჯდომარეობს**, წყალსაყვანისა და საარხო კანონპროექტის 26-ის მუხლზე კამათობენ.

**ჩხეიძე.** შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, სათათბიროს ამ საკითხის გადაწყვეტის დროს უნდა ახსოვდეს პეტერბურგის ღატაკი მოსახლეობაო. დიდი ხანია ის დრო წავიდა, როდესაც პროლეტარიატი სახელმწიფო სოციალიზმის ანკესზე ეგებოდა. მთავრობის პოლიტიკა ცხადია, იგი სოფლად შეძლებულთა ქომაგია, ქალაქებში კი—ღატაკებისა. იგი განხორციელებული თვალთმაქცობა და სიყალბეა. მთავრობა არამც თუ გალურჯდა შავზე უშავესი გახდა. მაშ, დეე, პროლეტარიატს ახლოს ნუ ეკარება.

**გრაფი უვაროვი.** პროგრესისტთა სახელით მატიუშინის შესწორებას ემხრობა და აცხადებს, ჩვენი ჯგუფი მუხლის მეორე ნახევარს არ ემხრობაო.

**მომხსენებელი შრეცენკი** ამ მუხლს იცავს და განმარტავს: ქალაქის ხელიდან საქმე მთავრობის ხელში მხოლოდ სახელმწიფო ბრძანებით გადავაო. აქედან ცხადია, ეს საქმე მთავრობის ხელში მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გადავა, ორატორი სათათბიროს მიჰმართავს, ამ საკითხის გადაწყვეტის დროს ყოველგვარ პოლიტიკასა და პარტიულ კინკლაობას თავი დაანებონ და მხოლოდ კაცთ მოყვარეობით იხელმძღვანელონ.

**მატიუშინი** 25 მუხლს ასეთის რედაქციით ასწორებს: უკეთუ ქალაქის თვითმმართველობა საქმეს სათანადოდ ვერ მოათავარიგებს, შინაგან საქმეთა მინისტრი საკანონმდებლო დაწესებულებაში წინადადებას შეიტანს საქმე მთავრობის განკარგულებით შესრულდეს. 131 ხმით 130 წინააღმდეგ 25 მუხლს ამ რედაქციით ღებულობენ.

მორიგ საკითხად **სააქციზო დებულებათა** ზოგიერთ მუხლის ჩასამატებელი კანონ-პროექტია, იგი მაგარ სასმელებით ვაჭრობას ეხება.

**ბარონი მეიენდორფი** ვრცელ მოხსენებაში განმარტავს კომისიის მოსაზრებათ და სხვათა შორის აღნიშნავს; მაგარ სასმელებით ვაჭრობა იმ დღეთა გარდა, როდესაც ვაჭრობა აკრძალულია შაბათობითა და უქმის წინა დღეებში ქალაქად საღამოს 6 საათს, ხოლო სოფლად 5 საათს არ უნდა გადასცდეს. ღარიბ მოსახლეობას რომ მაგარ სასმელების ჰყიდვა გავუძნელოთ, კომისიის აზრით, არაყი მხოლოდ დიდ ბოთლებით უნდა ისყიდებოდეს, რომელიც ვედროს მეოცედს უდრიდეს. ლოთობის შესამცირებლად კომისიის აზრით, საჭიროა თვით კაცს დღეში ბოთლზე მეტი არ მიჰყიდონ. არყის ბოთლებზე სახელმწიფო გერბი და წარწერა „სახაზინო ღვინო“ უხერხულია და უნდა მოიშალოს და იარლიკზე უნდა ეწეროს—არაყი მავნებელიაო. ჩუმ-ჩუმად არყის გაყიდვის მოსასპობად საჭიროა მათს გამყიდველებს ჯარიმად დაენიშნოს 15 მანეთიდან მოკიდებული და მეტიც. ვინც არაყს ჩუმად გაჰყიდის 3 თვიდან 1 წლამდე ციხეში უნდა ჩავსვათ. ან 50—1000 მანეთამდე ვაჯარიმებდეთ, ხელის შემწყობნიც უნდა ისჯებოდნენ. მათრობელ სასმელებისა, ბანგისა ლაქლაქისა, ჩინეთის არყისა, ბურახისა და სხვათა გამყიდველნიც უნდა იჯარიმებოდნენ. ამ საკითხის ვრცელს განმარტებას მაშინ მოგახსენებთ, როდესაც არსებითი კამათი დაიწყება (მთელი დარბაზი ტაშს უკრავს).

მეორე მომხსენებელი **ჩელიშევი** $2\frac{1}{4}$ საათს მათრობელ სასმელების მავნებლობაზე ლაპარაკობს. მაგარი სასმელები ჰშხამავს ხალხს და შთამომავლობასაც დიდ ზიანს აყენებს. სათბიროს მსჯელობას სარჩულად, ეს მოსაზრება უნდა დაედოს, ორატორი მეცნიერ-ფილოსოფოსთა აზრით ასაბუთებს, რომ ლოთობა არამც თუ გონებას უშხამავს ადამიანს, არამედ მთლად გადაშენებისა და გადაგვარების გზაზე აყენებს მთელს შთამომავლობას, მოდგმასა და თვით კაცობრიობასაც კი. ჩელიშევის აზრით სიკვდილის სიხშირე, გახშირებული თავის მკვლელობა, ნერვების აშლა, ათას-გვარი მოარული და გადამდები სენი მათრობელა სასმელებით დააჯადებულ და დასუსტებულ ორგანიზმის ხვედრია. პროექტში მოყვანილია მინისტრის მიერ მოწონებული კომისიის აზრი, ვითომც ზომიერად ნახმარი არაყი მავნებელი არ იყოს, ეს შემცდარი მოსაზრებაა. მეცნიერების წარჩინებული პირნი, ათასი სპეციალისტთა კრებანი ერთხმად აღიარებენ მაგარ სასმელების მცირე ხმარების მავნებლობასაც კი. ლოთობის გავრცელებას დანაშაულთა გახშირება მხარდამხარ მისდევს. ყოველად საზიზღარი დანაშაულებანი ლოთობის დროსა ჰხდება მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ხალხის საშინელ უბედურებას და მაგარ სასმელებით ვაჭრობას გამორჩენის მხრივ არ უნდა ჰზომავდეს. (ტაშის ცემა).

შემდეგი კრება ხვალ იქნება.

# ნარკვევი

„ზაკ. რეჩ.“-ში პრომეტეიმ ტფილისის გამგეობას ერთი წერილი უძღვნა „სინდისიც კარგი საქონელია“.

მოგვყავს ამონაწერი:

„ცხოვრებისა და უბრალო სამართლიანობის მოთხოვნილებათა მიხედვით, ჩვენ თავის დროზე სურვილი გამოვსთქვით, გამგეობის წევრად გამრჯე და მომზადებული პირი აერჩიათ, ხოლო ეროვნებით კი—ქართველი. ქალაქის პლუტოკრატიას, რომელსაც გამგეობა ხელში ჩაუგდია, პირველ ხანად, მეტად იუცხოვეს ეს, რომელ ქართველებზეა აქ ლაპარაკიო (საქართველოს დედაქალაქში)! ქალაქის თვითმმართველობა სომეხ ბურჟუათა ხელშია და ასეც უნდა იყოსო, სანამ ფორმალური კანონი ჩვენსკენ არისო.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ტფილისის საბჭო ეროვნულ შუღლის ასპარეზადაა გადაქცეული.

იგი საქმეს ამწვავებს და ისეთის გზით მიაქანებს რომ სომეხ-ქართველთა შორისაც ისეთსავე ძმათა სისხლის მღვრევას, არეულობას გამოიწვევს, როგორც თათარ-სომეხთა შეტაკება იყო.

ყველა კეთილ გონიერი და პროგრესიულად მოაზრე ხალხი ყოველ ღონისძიებას უნდა ჰხმარობდეს ამ ბურუსის გასაფანტავად.

სწორედ ამ მოსაზრებით ვურჩევდით გამგეობაში ქართველის არჩევას. ხოლო როდესაც ქართველი აირჩიეს, სამართლიანობის დასაცველად, რუსთა წარმომადგენლის არჩევაც მოვითხოვეთ. ამან“. კი მთლად დააფთხო ჩვენი „მამანი გამგეობის 6 წევრიდან (ქალაქის მოურავი, 4 წევრი და 1 მდივანი) 2 არა სოლოლაკელი პლუტოკრატი იქნებოდა. ყველა ბურუსით მოცული საქმეები გამომჟღავნდებოდა, გამგეობის კონცერტი ჩაიშლებოდა, და მათ ბატონობას ბოლოს მოუღებდა..

როდესაც არჩეულ პირს არ ამტკიცებენ--ქართველია, სომეხი თუ რუსი,—ეს უნდობლობის გამოცხადებაა არა მარტო არჩეულის, არამედ ამრჩეველთა მიმართაც, რომელნიც სიხარულით ცას დაეწივნენ, რაკი მათ მიერ არჩეული არ დაამტკიცეს. რა არის აქ სასიხარულო?

ცხადია, ბ-ნი ჯაბადარის სახელს ჩირქი არ მოსცხებია, როგორც საზოგადო მოღვაწეს, პირიქით, ბევრის თვალში იგი უფრო ამაღლდა: სირცხვილი იმათ სჭამეს, ვისაც მისი დაუმტკიცებლობა გაუხარდა.

მაგრამ საქმე ხომ ჯაბადარზე არ არის, და სასიხარულოც აქ არაფერი აქვთ, რადგანაც თუ ერთი არ დაამტკიცეს, იმას როდი მოასწავებს, ქართველ სხვასაც არ დაამტკიცებენო.

გამგეობა ძალაუნებურად სხვა ქართველის ძებნას შეუდგა.

ორი მილიონი ქართველობა, არც ისე უმწეოა, რომ გამგეობის წევრობის ღირსი, თუნდაც პოლიტიკურად კეთილსაიმედო არ მოიძევებოდეს. სინდისი უნდა იქონიოს კაცმა, რომ გამგეობის წევრად კიდევ სომეხი აირჩიონ, როდესაც იქ ყველანი სომხები არიან...

„ტფ. ფურც.“ კანდიდატად გამგეობის მდივანს ბ-ნ ჯაბარს ასახელებს...

ბ-ნი ჯაბარი გონიერ და ჭკვიან კაცად მიგვაჩნია და ვგონებთ მიჰხვდება თუ მისი მეგობრები რა დათვურ სამსახურს უწევენ.

დარწმუნებულნი ვართ, ბ-ნი ჯაბარი თავის კანდიდატურას გონივრულად მოჰხსნის და ის ბერკეტად არ გადიქცევა, რომელიც ჰაურთ ქართველ ხალხთან ასე თავხედურად სთხლიშონ.

ჩვენ კვლავ ვიმეორებთ: ღობე-ყორეს ტყუილად ედებით..? საკითხი პირდაპირ ისმის...

საჭიროა კანდიდატად ქართველთაგანი დაასახელოთ და ექვს-წევრიანი ქალაქის გამგეობა, ეხლა ერთის ქართველით მაინც შეავსოთ, ხოლო პირველ თავისუფალ ადგილზე კი 1 რუსიც აირჩიოთ...

სინდისიც კარგი საქონელია, ბ.ბ. სოლოლაკელნო!“

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**საზღვარ-გარედ.**

22 იანვარი.

**მადრიდი.** საგუნტის მახლობლად გემი მგზავრებიანად დაიღუპა.

**ნიუ-იორკი.** ჯორსეის რკინის გზის მახლობლად ნალმების აფეთქებისაგან 8 მოკლულის გვამი ნახეს. 11 ადამიანი უკვალოდ დაიკარგა.

**ურმია.** ერთობისა და პროგრესის კომიტეტი სპარსეთში საიდუმლოდ მოქადაგეებსა ჰგზავნის, რომ ამით ოსმალეთ-სპარსეთის დაახლოვებას ხელი შეუწყოს.

**ვენა.** ავსტრო-უნგრეთის ბანკმა 5% მაგიერ $4\frac{1}{2}$% დააწესა.

**მენილა.** ცეცხლის მფრქვევ მთის ამონახეთქმა ღველფმა 600 კაცი იმსხვერპლა.

**პარიზი.** სენატი. მაროკოში სამხედრო სამოქმედოდ ზედმეტ ფულის გადადების კანონ-პროექტს იხილავენ. პიშონმა განაცხადა, საფრანგეთმა, შაუიდან ჯარი იმიტომ გამოიყვანა რომ მაროკოში ახლა სიწყნარეაო. მაროკოს მთავრობა საფრანგეთს ფულს თავ-თავის დროზე უხდის. მაროკოში სკოლები და საავადმყოფოები გავხსენით და საზოგადოებრივ სამუშაო გეგმა შევიმუშავეთ. ინგლისთან შეთანხმება ისეთი სარფიანი არას დროს ყოფილა, როგორც დღესაო და თუ ზოგიერთებს ეს არა სწამთ, მხოლოდ იმისათვის, რომ დღევანდელი მდგომარეობა არა ესმით. სენატმა 168 ხმის უმეტესობით, 88 წინააღმდეგ კანონ-პროექტი მიიღო.

**ოტავა.** კანადის მრავალ მხარეებში ძლიერი ქარ-ბუქია. ალაგ-ალაგ მატარებელთა და ტრამვაის მოძრაობა შესწყდა.

**კაირო.** აქაური გაზეთები იტყობინებიან, რომ ინგლისის ხმელთა შუა ზღვის უმთავრესი სამართველო ეგვიპეტში გადმოაქვთო. და ინგლისის ჯარის რაოდენობა 50,000 კაცამდე ავაო.

**ბატავია.** კუნძულ ბილიტონის ქალაქში, მონგარში ჩინელებმა არეულობა მოახდინეს. ჯარი გაიგზავნა.

**თეირანი.** მეჯლისმა 70 ხმის უმეტესობით, 6 წინააღმდეგ, შეერთებულ შტატებიდან 5 ამერიკელ მოხელის მოწვევა გადასწყვიტა. ეს მოხელეები სამი წლით ფინანსთა სამინისტროში იმსახურებენ.

**ბერლინი.** სამხედრო მთავრობისაგან ელზასის ყაზარმებში ფრანგული ლაპარაკი აკრძალა.

**ხარბინი.** დღე-ღამეში 19 ჩინელი და ორი ევროპიელი გარდაიცვალა. სადგურ კუანჩენცზიზე ერთი ჩინელია ავად.

## რუსეთი

**ტობოლსკი.** ტობოლის გუბერნიის ექიმთა კრება ციმბირში პირველად გაიხსნა. 30 რწმუნებელი დაესწრო, მათ შორის 3 ექიმი ქალია.

**პეტერბურგი.** 3 თებერვლისთვის პეტერბურგში საერთაშორისო კრებაა, ფქვილის ვაჭრების თაობაზე დანიშნული [illegible] ზოროვი თავმჯდომარეობს.

**ჰელსინგფორსი.** სეიმის გახსნას გენერალ-გუბერნატორი რუსულად მიესალმა.

**პეტერბურგი.** ვაჭრობის მინისტრმა მინისტრთა საბჭოში ნავთსადგურების სამმართველოთა რეფორმების პროექტი შეიტანა.

**ოდესა.** ქალაქის უფროსმა 36 სტუდენტს ქალაქსა და მისს ახლო-მახლო ცხოვრება აუკრძალა.

**პეტერბურგი.** ამ უკანასკნელ ხანებში ინგლისში მყოფ რუსეთის ქვეშევრდომთა ცხოვრება მეტად გაძნელდა, ამიტომ რუსეთის საელჩო საქველ-მოქმედო საზოგადოების დაარსებას შეეცადა. საზოგადოების თავმჯდომარედ ელჩის, გრაფ ბენკენდორფის მეუღლე, მფარველად მისი უდიდებულესობა დედოფალი მარიამ თევდორეს ასული.

**ოდესა.** რუსეთის საზოგადოების გემი, „დიდი მთავარი ალექსანდრე“ სამსუნის მახლობლად შლამში ჩაიფლო. მგზავრები მეორე გემზე გადაიყვანეს.

**პეტერბურგი.** ხელოსანთა კრებამ საჭიროდ სცნო ქარგლებისთვის ზოგადი და სპეციალურ ცოდნის შესაძენად სკოლები გაიხსნას. სკოლების ხარჯს ხაზინა, საერობო, ქალაქების და ხელოსანთა თვითმმართველობის დაწესებულებანი იკისრებენ. სწავლა საყოველგან სამშობლო ენაზე იწარმოებს. დამატებითი განათლებისათვის მისაღებად ქარგლებს კვირაში 12 საათს განთავისუფლებენ. კრებამ ქარგალთა სამმართველოების დამოუკიდებლობა საჭიროდ სცნო.

**კიევი.** საშინელი ყინვების (22°) და ნამქერის გამო მატარებელთა მიმოსვლა ჩრდილოეთ და სამხრეთ დასავლეთის რკინის გზებზე რიგიანად არ სწარმოებს, მატარებლები ხშირად უკანვე ბრუნდებიან.

**ფეოდოსია.** ვაგონების და გემების დატვირთვა მეტად გაძნელდა.

**ევპატორია.** აკმეჩეტის ნავთსადგური გაყინულია.

**პეტერბურგი.** (ბუტურლინის მოწამლვა). ბრალმდებლის ამხანაგი აცხადებს: საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ, ექიმმა პანჩენკომ „თავს თამნაშავედა ვსცნობ“ განაცხადა, ხოლო მეორე შეკითხვაზე: საწამლავი შეუშხაპურა თუ არა?—პანჩენკომ განაცხადა, როდესაც ექიმების გამოძიებას დაამთავრებენ, მაშინ გიპასუხებთო. იმ პასუხით უხერხულ მდგომარეობას იწვევს, რადგანაც დანამდვილებით არ

# ქართული ისტორია და ქართველი ახალგაზრდობა

არა ერთი და ორი წერილი წერებულა ჩვენს გაზეთში ქართველ ხალხის სულიერ სიღატაკეზე, მის დაქვეითებაზე, ჩამორჩენაზე. არა ერთხელ ყოფილა მოხსენებული, თუ რა შეადგენს ამ დაქვეითების პირველ-ყოფილ მიზეზებს! ბევრჯელ ყოფილა აღნიშნული აგრეთვე ისიც, რომ ქართველი ინტელიგენცია არ იჩენს სათანადო ფხას, ქართველ ერის გათვითცნობიერებისა და მის სულიერ აღზრდის საქმეში. ყველგან ჩვენ ვხედავთ უცოდინარობას, უსაქმობას, დაუდევრობას, და მხოლოდ რეზონიორობით გვსურს ერის აღორძინება მისი კულტურულობის წინ წაწევა: ნამდვილ საქმეს კი, ისეთ საქმეს, რომელსაც სჭირია შრომა, ენერგია, სიყვარული და ცოდნა და რომელიც მართლაც დიდს ღვაწლს და სარგებლობას მოუტანს ქართველ ერის აღორძინებას, ნებით თუ უნებლიეთ, სიზარმაცით თუ დაუდევრობით გვერდს უხვევთ, ვივიწყებთ.—ყოველი ერი რომელსაც ცოტად თუ ბევრად შეგნებული აქვს თავისი აწმყო მდგომარეობა (რა თქმა უნდა აქ ჩვენ არ ვეხებით პოლიტიკურად დამოუკიდებელ ერებს) ილტვის გაითვალისწინოს თავისი მომავალი თავის წარსული ცხოვრების, ისტორიის მიხედვით. მაშასადამე, თუ ერი თავის მომავალს წარსულზე ამყარებს და თუ ამ აუცილებელ დამოკიდებულების წარსულსა და აწმყოს შორის რაიმე მნიშვნელობა აქვს ერისათვის, აქედან ცხადია გამომდინარეობს მხოლოდ ერთი სინამდვილე: სახელდობრ ის, რომ ერი რაც შეიძლება მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს თავის წარსულს, შეიგნოს მისი მნიშვნელობა, შეისწავლოს და შეიყვაროს იგი.

ქართულ ისტორიის მკვლევართა და მცოდნე ავტორიტეტებით ღარიბნი არ ვართ. მაშასადამე, ყოველი ქართველი, რომელიც მოწადინებულია შეისწავლოს თავისი ერის წარსული, ამ მხრივ ვერავითარ სერიოზულ დაბრკოლებას ვერ შეჰხვდება. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც სჩანს, ამ გვარი სურვილი იშვიათია ხოლმე ქართველ ინტელიგენტის სულიერ ცხოვრებაში. იშვიათია მეტ წილად ჩვენ მოსწავლე ახალგაზრდობაში, რომელიც ასე თუ ისე ერის მომავლად უნდა ჩაითვალოს. ამას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზები აქვს, მაგრამ ეს მიზეზები იმდენად მცირე მნიშვნელოვანნია, რომ გაბოდიშება ამითი ვერავის გაამართლებს. აქ ჩვენ გვსურს შევეხოთ ქართველ ინტელიგენციის უფრო სათუთ ნაწილს—სტუდენტობას. ქართველი სტუდენტი, ხშირად დამცველი ქართველი ერის ინტერესებისა, მის მომავლის თაყვანისმცემელი, სულით და გულით მოზიარე მის ბედისა და უბედობისა არ იცნობს ამ ერის წარსულს, რომელზედაც დამყარებულია და აქინძულია მთელი მისი დიდება.

ჩვენ მიერ გამოთქმულ აზრს ქართველ სტუდენტების უმრავლესობაზე ვრცელი დასაბუთება არა სჭირია; დასარწმუნებლად, გააჩერეთ სადმე ქუჩაში მიმავალი ქართველი სტუდენტი და ჰკითხეთ, ვინ იყო ფარნაოზი ან მირიანი, ან სხვა ქართველი მეფე; თქმა არ უნდა მისგან ნამდვილ პასუხს ვერ მიიღებთ; მაშინ, როცა ეს უკანასკნელი კარგად იცნობს რიურიკს, ოლეგის, წმ. ვლადიმირის და სხვათა ისტორიას.

მკითხველი უეჭველია ამ გარემოებათა წარმომშობ მიზეზის გამოკვლევას შეუდგება. ჩვენ ზევით უკვე ვსთქვით, რომ ეს მიზეზები მაინც და მაინც იმდენად დიდ მნიშვნელოვანნი არ არიან, რომ ისინი თავის გასამართლებელ საბუთებად ვაღიაროთ. პირველ ყოვლისა ამ შემთხვევაში რა თქმა უნდა მნიშვნელობა აქვს ოჯახს, სადაც ბავშვი პირველად ეცნობა თავის ერის წარსულს მშობელ-აღმზრდელთა ზედ-გავლენით და ხელმძღვანელობით; მაგრამ რადგან ამგვარი ხელმძღვანელნი იშვიათია ქართველ ინტელიგენტთა ოჯახებში, ძალა-უნებურად ჩვენ ყურადღებას იპყრობენ საშუალო სასწავლებლები, სადაც ვითარდება ბავშვის სულიერი ალმახვა.

თქმა არ უნდა მთავრობის გიმნაზიებში მოსწავლე ახალგაზრდა არამც თუ ქართულ ისტორიას ვერ შეისწავლის, პირიქით ხშირად ენასაც ივიწყებს და გადაგვარების გზას ადგება. რჩება მხოლოდ ქართული გიმნაზიები, სადაც ქართული ენის და კერძოთ კი ქართულ ისტორიის სწავლების საქმე ჯერ-ჯერობით არის დაყენებული სასურველ ნიადაგზე, რომ იქ მოსწავლე ახალგაზრდას შეეძლოს რეალურ ცოდნის შეძენა. ამასაც რა თქმა უნდა თავისი მიზეზები აქვს.

მაშასადამე ქართული მოსწავლე ახალგაზრდა ვერსად ვერ შეისწავლის ქართულ ისტორიას, თვითონ მას არა აქვს ამ საგნისადმი სიყვარული და ამ სიყვარულით გამოწვეული სურვილი მისი შესწავლისა. ყოველ შემთხვევაში უფრო მეტი ბრალი თვით ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას ედება: რომელიც არ იჩენს სათანადო სურვილს და სიყვარულს შეითვისოს და შეისწავლოს თავისი ერს წარსული.

ხშირად ამ უგულობას და უსიყვარულობას ისინი იმ მოსაზრებაზე ამყარებენ, რომ ამ საგნის შესწავლა—გამოკვლევა, შრომით და უნარის გამოჩენა საზოგადოების მხოლოდ ერთ განცალკევებულ ჯგუფის მოვალეობას (?!) შეადგენსო!

მაშინ, როცა რუსეთის თითქმის ყოველ საუნივერსიტეტო ქალაქში რუსეთის სტუდენტობას აქვს მრავალი სამეცნიერო წრეები, რომელთაც მიზნად, მომეტებულ ნაწილად, დასახული აქვთ რუსის ერის ისტორიულ ეთნოგრაფიულ მხრივ შესწავლა, ქართველ სტუდენტობას აქვს მხოლოდ ორი სამეცნიერო წრე, მოსკოვსა და პეტერბურგს. პეტერბურგის სამეცნიერო წრე ამ ბოლო დროს ენერგიას და შრომის უნარს იჩენს; რაც შეეხება მოსკოვის სტუდენტთა „ქართულ კულტურის მოყვარულთა წრეს“ იგი, სამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თავის პირდაპირ დანიშნულებას, (ე. ი., ქართველ ერის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხრივ შესწავლას და ქართულ ლიტერატურის გაცნობას) ვერ ემსახურება. წარსულ აკადემიურ წელს ამ წრემ მხოლოდ ორი რეფერატის მოწყობა შესძლო: პირველი ილია ჭავჭავაძეზე—მეორე ეგნატე ნინოშვილზე. ეს ორივე რეფერატი იმდენად უფერული და უშინაარსო გამოდგა, რომ მათ სარგებლობაზე ლაპარაკიც კი მეტად მიგვაჩნია.*) ეს ორიოდე ფაქტიც საკმაოა იმის დამამტკიცებლად, რომ ქართველი სტუდენტობას ნაკლებად აინტერესებს ქართველების კულტურის და ისტორიის შესწავლა.

ეს, გარემოება მით უფრო სამარცხვინოა, რომ ამას ამჩნევს ჩვენი ქვეყნის და ხალხის წარსული სხვა ტომის სტუდენტობა. ხშირად, ძალიან ხშირად შევხვედრივარ ისეთს შემთხვევას, როდესაც უცხო ტომის სტუდენტი მიჰმართავს ხოლმე თხოვნით ქართველს მოკლედ გააცნოს ქართველ ერის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსული. ამ შემთხვევაში მეტი წილი ქართველ სტუდენტობისა იძულებულია გაწითლდეს და ცრუ ცნობების გადაცემით თავიდან მოიშოროს.

**შალვა ტატიშვილი.**

*) კიდევ მეორე ფაქტი: მოსკოვის უნივერსიტეტს აქვს საკუთარი კათედრა ქართულ ისტორიისა და ლიტერატურისა. კვირაში ერთხელ პრივატ-დოცენტი ხახანაშვილი კითხულობს ხოლმე ლექციებს ქართულ ისტორიისა და ლიტერატურაზე მაგრამ იშვიათი შემთხვევაა რომ ამ ლექციებს 3—4 ქართველი სტუდენტი დაესწროს.

ვიცით, პანჩენკო თავის-თავს დამნაშავედ სთვლის თუ არა, ამიტომ მოვითხოვ ხელ-მეორედ შევეკითხოთ. პანჩენკომ შეკითხვაზე წინანდებურად უპასუხა და დასძინა, ჩემი ნათქვამი სამჯავროს გამოძიებით უნდა დამტკიცდესო. მოწამე ქალმა, არლემიევისამ განაცხადა, ბუტურლინი ერთი შეშხაპუნების შემდეგ ძლიერ სწუხდაო. პანჩენკომ განმარტა სადგის დეზინფექციას არ ვუკეთებდი, რადგანაც სპერმინს ერთობ ასუსტებს დეზინფენქციაო. მოახლისა და მეკარის ჩვენებამ საქმეს ახალი არა მიუმატა რა.

განსვენებულის ქვრივმა სთქვა: ქენების კვირაში ვილენის გუბერნიაში ქმრითურთ მამამთილს ვესტუმრეთ. ქმარი კარგად იყო. ნაადრგომევს განსვენებული პეტერბურგს წავიდა და მე დავრჩი. 9 მაისს ქმარმა დეპეშით პეტერბურგს გამიწვია. ქმარი ავადმყოფი დამიხვდა და ექიმი პანჩენკო კან-ქვეშ რაღაც უშხაპუნებდა. ქმრის მოწამვლაში ეჭვი დამებადა და გუმანი ლასსზე მივიტანე, რადგანაც მას ცუდ ადამიანად ვიცნობდი. ექიმი კოგანი, ბუტურლინს პანჩენკოს შემდეგ ექიმობდა, შემდეგი განაცხადა: სისხლის მოწამლვა შევნიშნეო. ქალბატონი ბუტურლინისა საქვეყნოდ ამბობდა: „ქმარი მომიწამლეს, ლასსი და პანჩენკო დამნაშავენი არიანო“. სხვა მოწმეების ჩვენებამ გამოარკვია, თუ პანჩენკომ საწამლავი საიდან იშოვნა. ბეითალმა ჰენრიხმა განაცხადა, პანჩენკოს ხოლერის ენტოდოქსინის შრატი მივეციო. პანჩენკომ განაცხადა, რომ ჰენრიხს დელასსის დავალებით გამოვართვი შრატი და მასვე გადავეციო. პროფესორი ზაბოლოტნმა სთქვა—პანჩენკო ჩემსას იყო და დიფტერიტის ტოქსინი მთხოვაო. მე უარი ვუთხარი და ვურჩიე, მედიკურ ექსპერიმენტალურ ინსტიტუტისთვის მიემართნა. ინსტიტუტის ქიმიკოსმა განაცხადა, პანჩენკომ მთხოვა დიფტერიტის ტოქსინი სამეცნიერო აკადემიაში სამუშაოდ და მივეცი. ბრალმდებელი პროფესორთ კოსოროტოვს, ჩისტოვიჩს, დიანინს და კოროვინს შეეკითხა: რა საწამლავი ეხმარა პონჩენკოს და კოგანის ექიმობამ რა გავლენა იქონია? პროფესორები სათათბიროდ გავიდნენ. ექსპერტების გამოცხადების შემდეგ, ბრალმდებელი პანჩენკოს შეეკითხა: დიფტერიტის ტოქსინი შეუშხაპუნეო? პანჩენკომ, მიუხედავად დაპირებისა, არაფერი უპასუხა. სასამართლო ობრიენის მიერ პანჩენკოსთან ფრანგულად მიწერ წერილის გარჩევას შეუდგა. სხდომა შემდეგ დღისათვის გადაიდო.

# ახალი ამბები

### ტფილისი

◆ როგორც გვატყობინებენ, ხერსონის მონასტერში, სადაც ეპისკოპოსი კირიონი და იღუმენი დიდიმი სცხოვრობენ, წმ. ნინოს დღესასწაული გადაუხდიათ. თუმცა მონასტრის წინამძღვარს, ეპისკოპოს ინოკენტის, ქართულ ენაზე სახარების წაკითხვის ნება არ მიუცია, მაგრამ დიდიმს ორი ასამაღლებელი ქართულად მაინც უთქვამს. წირვას დასწრებია, სხვათა შორის, სევასტოპოლის სიმაგრეების არტილერიის უფროსი, გენერალ-მაიორი გიორგი პეტრეს ძე ქორქაშვილი თავის ჯარის ნაწილით. წირვის შემდეგ გენერალი ქორქაშვილი და სხვა დამსწრენი ეპისკოპოს კირიონს მიუწვევია ჩაიზე. ნინოობა დღესვე კირიონს ანტონი მიტროპოლიტისაგან ნებართვა მიუღია პეტერბურგში გამგზავრებისა.

◆ **ხალხური ლიტერატურო სალამო ქუთაისში.** რომელიც პარასკევს 21 იანვარს უნდა მომხდარიყო, გაიმართება ხვალ, ქალაქის თეატრში. სალამოში მონაწილეობას მიიღებენ: ბაკური, დ. კლდიაშვილი, ცახელი, ეშმაკი, თაგუნა, ერგთელი, ბაზილინა, გელა, ქუჩიშვილი, თურდოსპირელი, ვ. რუხაძე, ზომლეთელი, წულაძე, რ. ლეჩხუმელი და სხვანი. ლ. ნათაძე წაიკითხავს ახალგაზრდა მწერალთა ნაწერების დახასიათებას. მწერლები წაიკითხავენ თავიანთ მოთხრობებსა და ლექსებს. იმღერებს აგრეთვე ხორო გურულ სიმღერებს. გურიაში ცნობილი მეჩონგურე ჩავლეიშვილი დაამღერებს ჩონგურზე. გაიმართება ცეკვა-თამაში.

◆ **ს. დიდი ჯიხაიში საფოსტო განყოფილება.** მოქმედება უკვე დაიწყო. განყოფილება აკურთხეს. კურთხევას ხალხი ბლომად დაესწრო.

◆ ამ ჟამად ქუთაისის გუბერნიაში ყველგან დიდი თოვლი ძევს. სოფლებში მიმოსვლა თითქმის თვეზე მეტია შეჩერებულია. დიდი თოვლის გამო სახლები ბევრ ადგილს დაიმსხვრა. ასეთი შემთხვევა იყო ს. დიდი-ჯიხაიში, სადაც ორი ადამიანი კიდეც დაშავდა. მატარებლების მიმოსვლა რიონის იქით, ბათუმ-ფოთისკენ წესიერად არ სწარმოებს. სოფლებში წისქვილები აღარ მუშაობენ, რის გამო ბევრს ადგილას დიდ-გაჭირვებას განიცდის ხალხი. სანოვაგე ქალაქსა და სოფლებში ძლიერ გაძვირდა.

◆ დღეს, 23 იანვარს, ნაშუადღევის პირველ საათზე, ავჭალის აუდიტორიაში სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის თაოსნობით აუდიტორიის შენობაში გადახდილ იქმნება **პანაშვიდი მ. ი. დემურიას** სულის მოსახსენებლად. ამავ დროს პანაშვიდი გადახდილ იქნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციის თაოსნობით.

◆ 21 იანვარს, მიწად-მოქმედების მთავარი გამგის კანცელარიაში მოხდა კრება, **ამიერ-კავკასიის ხილეულობის** საზოგადოებისა, ტფილისის ბოტანიკურ ბაღის დირექტორის რალლოვის თავმჯდომარეობით. კრების გახსნისთანავე მდივანმა წაიკითხა წარსულ წლის ანგარიშები. ამის შემდეგ, რამდენიმე პირმა სურვილი განაცხადა საზოგადოების წევრად გახდომისა, მაგრამ, რადგან წესდების თანახმად, ყოველ სხდომაზე სამ წევრის მეტს არ იღებენ, წევრად აირჩიეს მხოლოდ სამი: ვ. მ. სავიჩი, ვ. ა. ზეიდნიცი და ნ. ი. პროსტოსერდოვი.

ბოლოს აგრონომ ტიმოფეევმა, რომელიც გაგზავნილი იყო მიწად-მოქმედ-მომწესრიგებელ საზოგადოებისგან ხმელთა-შუა ზღვის განაპირა ქვეყნებში მერძევეობის განვითარების ისტორიის გასაცნობად, საზოგადოებას გააცნო, თუ როგორ ნიადაგზეა დაყენებული მერძევეობის საქმე ისპანიაში, იტალიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში, ოსმალეთში, პორტუგალიაში და ავსტრალიაში. სხდომის ბოლოს შეამოწმეს კავკასიის ყველა კუთხიდან გამოგზავნილი ხილი.

◆ დღეს, 23 იანვარს, საღამოთი, ქალაქის საბჭოს **ხმოსანთა კერძო თათბირი** გაიმართება ქალაქის გამგეობის წევრის არჩევის გამო.

◆ გორში შესდგა საგანგებო კომისია, რომელმაც ფული უნდა შეაგროვოს ამიერ-კავკასიის სამასწავლებლო **სემინარიისთვის** მიწის საყიდლად.

◆ 28 იანვარს კავკასიის **იურიდიულ საზოგადოების** წევრთა საერთო კრება მოხდება.

◆ გაზეთების ცნობით, ის სპარსელი ვაჭრები, რომელნიც უცხოელთა უფლებით სცხოვრობენ სტამბოლში, უარს ამბობენ გადასახადების გადახდაზედ. გადაჭრით აცხადებენ, თუ ძალას დაგვატანთ, ჩვენს სავაჭრო საქმეებს ტფილისსა, ბათუმსა და პირეიში გადავიტანთო.

◆ 24 იანვარს ქალაქის საბჭოს **სატრამვაიო კომისიის** კრება მოხდება. კომისიამ ხელმეორედ უნდა განიხილოს თავისი დადგენილება, რომლითაც უკანასკნელ ხანს ტრამვაის დირექცია დიდად იქმნა **დაჯარიმებული.**

## თანამშრომელთა საყურადღებოდ

რედაქცია აცხადებს, რომ დაუბეჭდავი წვრილი წერილები, კორესპონდენციები, მოთხრობები და ლექსები **სრულიად არ ინახება და მათ შესახებ არავითარ მიწერ მოწერასაც არა ჰმართავს** ავტორებთან. ერთის თვით ინახება მხოლოდ **დიდი** წერილები და მოთხრობები. ამიტომ ყოველ შეკითხვას პატარა წერილების დაბეჭდვის თაობაზე უპასუხოდ დავტოვებთ.

◆ დღეს, 23 იანვარს, ნაშუადღევის 1 საათზე, ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სამუსიკო სკოლაში, **მოწაფეთა პირველი სამუსიკო დილაა.**

◆ 20 იანვარს ტფილისში ნიშადურის სპირტით **თავი მოიკლა** ქალაქის მოურავის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის გათხოვილმა ქალმა მარიამ ვასილის ასულმა მიშუტუშკინმა.

◆ ორშაბათს, 24 იანვარს, ტფ. **ქალაქის საბჭოს კრება** მოხდება. საბჭო, სხვათა შორის, განიხილავს ხმ. ა. ს. ბაბოვის განცხადებას, ელექტრონის სადგური ტფილისისათვის საზარალო იქმნებაო.

◆ დღეს, დილის 11 საათზე, ავლაბრის კლუბში, სახალხო წარმოდგენების მმართველი ქართული წრე იწვევს **საზოგადო კრებას** გამგეობის წევრების ასარჩევად.

◆ 22 იანვარს დილით **ცეცხლი მოეკიდა** ავლაბრის წმ. მარინის ეკლესიის სკოლის შენობას. სიცივების გამო ქვანახშირით მეტად გაეხურებინათ ფეჩები.—მერე ერთ ფეჩს ზემოდან აშენების დროს უწესოდ დაჰყოლოდა სამი თავთ-ხე. ცეცხლიც ამ ხეებს გასჩენოდა. ცეცხლის მქრობი რაზმი გვიან მოვიდა, მაგრამ რადგან წყალი გაყინული აღმოაჩნდათ ცეცხლის ჩაქრობა გვიან დაიწყეს. ცეცხლის მქრობმა რაზმა მთლად მოაძრო შენობას რკინის სახურავი და დაანგრია ჭერი. სკოლაში მოსული ბალღები მწარედ ქვითინებდნენ. სასწავლო ავეჯი ხალხმა გადაარჩინა. ეს სკოლა მეტად დიდ სიკეთეს უწევდა ავლაბრის ღარიბ ხალხს. 100 ყმაწვილი სწავლობდა დღისით; 65 საღამოთი მოზრდილი ქალობა. ქალთა ამხანაგობის მასწავლებლებთან და 30 მოზრდილი მუშა სახალხო უნივერსიტეტის სექციის—ისინიც საღამოთი.

◆ სცენის მოყვარეთა წრე „**ნაძალადევი**“ დღეს, „ნაძალადევის სახალხო სახლში“ მართავს იაფ-ფასიან წარმოდგენას ბ.ბ. სვიმონიძის, ივანიძის და გოცირიძის მონაწილეობით. წარმოდგენილ იქნება „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, კომედია ა. ცაგარლისა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

◆ გამოვიდა მორიგი (7) ნომერი ყოველ კვირეული ჟურნალი „**ცხოვრება და ხელოვნება**“

◆ 21 იანვარს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 41 უპასპორტო.

—

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელს მეთაურში შეცდომითაა ნათქვამი: „მთავრობა იძულებული გახდება ამ ორ ძლიერსა და მახინჯ მიზეზებს სერიოზული ანგარიში გაუწიოს“. უნდა იყოს: „ამ ორ ძლიერსა და რთულ მიზეზებს“ და სხვ.

## ქართლი

წარსულმა წელმა ქართლის ცხოვრებაში უფერულად გაიარა, შესამჩნევი კვალი არ დააჩნია, არც ერთ დარგში.

მხოლოდ პოლიციის მხრივ მთავრობის მამასახლისები მოხსნეს, ზოგიერთ სოფლებში ისევაა დატოვებული, სამაგიეროდ კი სადარაჯო რაზმები 5—6 კაცის ჩააყენეს ყველა რაიონში.

სოფლის მიხელეების გადასახადები კვლავინდებურად იკრიფება, თუ არ მოემატა, დაკლებით კი არ შეუმცირებიათ.

სახელმწიფო გადასახადებიც უსისტემოთაა გაწერილი; ერთის მაგალითით დავასაბუთებ: სოფ. ცერონისის მონადელე ხალხს უჭირავთ უსტავნი გრამოტებით 126 დესტ. 600 კვად. ს. (დამიჯნით კი—122 დეს. 1360 კ. ს.) და გადასახადი შეწერილი აქვთ 339 მან. 39 კაპ. —დესეტინაზე მოდის 2 მ. 78 კ.

ეს ციფრები ცხადად ამტკიცებენ გორის მაზრის ხარჯით ამკრებ ინსპექტორების დაუდევრობას; მათ ნამდვილი ცნობები არა აქვთ შეკრეფილი მამულის რაოდენობისა და ღირსებისა, ალალ-ბედად აწერენ მცხოვრებლებს სახელმწიფო გადასახადს.

სად გაგონილა დესეტინაზე სახელმწიფო გადასახადი—2 მ. 78 კ.? ამ საკითხს ვრცლად კვლავ დაუბრუნდები.

მამულის შეძენას გლეხობამ ჯერ კიდევ რიგიანად ხელი ვერ ჩასჭიდა,—ამას ათასი დამაბრკოლებელი მიზეზები აქვს. სხვათა შორის სოფ. ფხვენისში თ-დ ამილახვრის მამული 50 დეს. ბანკში იყო დაგირავებული, საჯაროდ იყიდებოდა. ფხვენისელებმა ამოარჩიეს თავიანთ შორის სამი კაცი, მიანდეს მათ, რომ ეს მამული სოფლის სახელზე შეეძინათ და 950 მანეთიც მისცეს. ამორჩეულმა კაცებმა ეს ფული დანიშნულებისამებრ არ მოახმარეს და სოფ. ფხვენისი ხელ-ცარიელი დარჩა, ფულიც დაეკარგათ.

სოფ. ნაბაკეველებმა 22 კომლმა შეიძინეს თ-დ ვლ. ხერხეულიძისაგან საგლეხო ბანკის დახმარებით 153 დღ. სახნავი მამული.

ოსები—ხიზნები უფრო მუყაითად ეკიდებიან მამულის შეძენას.

სამაგიეროდ მათ შორის ძალიან არის გავრცელებული ცრუ-მორწმუნეობა. სხვათა შორის სოფ. სხლითაში და მუხაურში სხვილ-ფეხ საქონელს დაერია ხუზარა (ციმბირის ჭირი) და დიდი ზარალი მოუტანა მცხოვრებს. რომ ეს უბედურობა აეცდინათ, მკითხავს მიმართეს, მან ერთი დარიგება მისცა: ხარი ან ძროხა რომ მოგიკვდეთ, მის ბარკალს ხორცი გამოსჭერით, შესწვით და სჭამეთო. ესენიც ასრულებენ მკითხავის დარიგებას, მათაც დაერია ხუზარა, ზოგს სახეზე, ზოგს ხელზე გამოუვიდა. რამდენიმე მსხვერპლიც იყო.

მეურნეობის მხრივ ძალიან ჩამორჩენილია ქართლი. აქაც იწყეს მიწის გადაბრუნება და ამერიკულ ვაზების გაშენება, ისიც მხოლოდ აქა-იქ მოიპოვება, მათ შორის გ. ბ. ტატიშვილმა სოფ. წრომში და თ. კ. მ. ამირეჯიბმა სოფ. ავლევში გააშენეს ვაზის საცდელი სანერგეები, სადაც მოეპოვება გასაყიდიც.

ქართლში ჯერ კიდევ მომეტებულად მამულები დამიჯნული არაა, ბევრგან სადავიდარაბოა. საკუთრებაც არის—მაგრამ სოფლის მცხოვრებნი არას დაგიდევენ, ძეგლებს გიხვნენ, სამნებს სპობენ, საკუთრებაში გივარდებიან და მამულის პატრონი მუდამ დარაჯად უნდა იყოს თავისი მამულისა, რომ არავინ შეეცადოს და მისი საკუთრება არ შელახონ.

ამის გამო მეურნეობის განვითარება და წინსვლა შეუძლებელია, ვიდრე ჩვენ სხვის საკუთრების პატივისცემას არ შევიგნებთ.

სკოლების დაარსება ნელ-ნელა ფეხს იკიდებს გაიხსნა 1909—1910 წ. ავლევის სკოლა სამეურნეო ნაწილი და მოხისის; გომის სკოლა ერთის წლის წინად დაარსდა, მაგრამ ეხლა ლამის უსახსრობისა გამო დაიკეტოს.

ამ სკოლაში 3 განყოფილებაა, ხაზინა სკოლის შესანახად იძლევა—420 მან., სოფ. გომიც იხდის—300 მან. ამ ფულს მარტო გომის წვრილი ვაჭრები იხდიან, აქაური მცხოვრებნი ოსები კი არას იხდიან, თუმცა მათი შვილები ამ სკოლით სარგებლობენ. ამის გამო წვრილი ვაჭრები უარობენ,—სკოლის შესანახი ფული მარტო ჩვენ რათ უნდა გადვიხადოთო.

აქაურ ვაჭარს გოკიელოვს, რომელსაც აქვს 10,000 მანეთზედ მეტი აღებ-მიცემობა, შეწერილი ჰქონდა სკოლის შესანახად 25 მან, მან უარი განაცხადა ამ ფულის მიცემაზედ. აქაურ წვრილ-ვაჭრებსაც ესლა უნდოდათ, მათაც ფულის მიცემაზედ უარი სთქვეს.

აქაური სინდიკატი, გორის მაზრის მემამულეებისა შემწეობას აძლევს ამ სკოლას და, თუ ჯერ არ დაკეტილა, ისევ ამის წყალობით არსებობს.

ცოდვა ამ სკოლის დაკეტვა, სწავლა რიგიანათაა დაყენებული და მასწავლებელიც მუყაითად ეკიდება თავის საქმეს.

შარშანდელი 1910 წლიწადს მხიარულად შევეგებეთ, სოფ. ავლევის ახლად დაარსებულ სამეურნეო სკოლის მოწაფეებს გაუმართა თ-დ. კ. მ. ამირეჯიბის ოჯახმა „შობის ხე“ სოფლიდანაც გლეხობა დაესწრო. „შობის ხეს“ ცალ მხარეს მოწაფე ვაჟები იდგნენ ჩამწკრივებული, მეორე მხარეს კი მოწაფე ქალები, ორი თვის სწავლამ დიდი ცვლილება მოახდინა მოწაფეებზე, თავისუფლად გრძნობდნენ, ზრდილობიანი მიხვრა მოხვრა ჰქონდათ, არა გვანდნენ ცოტა გლეხის შვილებს.

სკოლის გამგემ მღვდ. ზ. ღვადაძემ მოწაფეები ამღერა „ორმოში ფეტვი ჩავყარე“ „თამარ მეფე და ხონთქარი“ და სხვა შემდეგ თითო მოწაფე გამოდიოდა შუადგილას, საზოგადოებას სალამს აძლევდა და რომელიმე ლექს იტყოდა.

თავისებური გამოცდა იყო და ამ გამოცდამ დაგვანახვა, რომ რაც შეეფერებოდა ორი თვის სწავლას, გადაუჭარბებიათ მოწაფეებს. მიზეზი ასე კარგად მოწაფეების მომზადებისა არის მასწავლებელი მ. ედილაშვილი, რასაკვირველია, თავ. კ. მ. ამირეჯიბის ხელმძღვანელობით არის.

ლექსებს რომ მორჩნენ მოწაფეები, შემდეგ ლეკურიც ჩამოუარეს. ყველა ნასიამოვნები დარჩა, მეტადრე მოწაფეების მშობლები აღტაცებაში მოვიდნენ, როდესაც ერთმა მოწაფემ ისე მარდათ და ცქვიტათ წარმოსთქვა „გლეხის ვედრება“ და, როდესაც დააბოლოვა: „მასწავლეთ წიგნი, მასწავლეთ, მასწავლეთ წერა-კითხვაო“, ზოგიერთ მშობელს თვალები ცრემლებით აევსო, ჰგრძნობდნენ სწავლის სიძლიერეს და მათში იღვიძებდა სწავლის სურვილი.

მოწაფეები წიგნებით დაასაჩუქრეს, შემდეგ ყველა მოწაფე—ვაჟებს დაურიგეს სახალათეები და მოწაფე—ქალებს—საკაბეები. აგრეთვე თითო ხელსახოცი ხმელი ხილი—ტკბილეულობაც მიიღეს.

თ-დ კ. მ. ამირაჯიბის ოჯახი დამსწრე საზოგადოებას ჩაით და ვახშმით გაუმასპინძლდა. **Legatus.**

## უყურადღებოდ დატოვებული სკოლები

1880 წელს ქალაქმა თავის ხარჯით სამი დაწყებითი სკოლა გახსნა. მეორე წელს ასეთი სკოლა ქალაქს უკვე შვიდი ჰქონდა. ყველა ამ სკოლებს პირველ მოსაწყობად და გასაუმჯობესებლად წლიწადში 30 თუმანი ეძლეოდა. ამ ფულს, როგორც გამოირკვა, ვერც კი ახმარებდნენ სკოლას, და სკოლის გამგეთაგანმა საბჭოში მოხსენება შეიტანა, ეს ფული იმდენია, რომ არც კი ვიცით რას მოვანდომოთო. ამის მერე ეს დახმარება ნელნელა შეამცირეს. და დღეს ქალაქის დაწყებითი სკოლებს წლიწადში მხოლოდ 90 მ. ეძლევათ. ეს ფული მეტად მცირეა, ყველა სკოლის გამგეს რომ დანიშნულებისამებრ მოეხმარნა იგი. ამოდენა ხანში ძველად გახსნილს სკოლებს მაინც უნდა ჰქონდეთ სამაგალითო საბავშო წიგნთ-საცავი, აუარებელი სახელმძღვანელოები, მრავალი სურათები თვალსაჩინო სწავლისთვის და სხვა. მაგრამ შევიხედოთ ძველსა თუ ახალ სკოლებში და რასა ჰნახავ? არსად არ მოიპოვება რიგიანი საყმაწვილო ბიბლიოთეკა, თანამედროვე, შნოიანად და ლამაზად დასურათებული, რომ ბავშვის გულს კითხვის ხალისი გაუღვიძოს და თვალიც სიამოვნებით მოსტაცოს.

ვისი ბრალია? სკოლის გამგეების და სამოსწავლო საბჭოს წევრების დაუდევრობისა.

სამოსწავლო საბჭოდან ყველა სკოლებს დანიშნული ჰყავს ეგრედ წოდებული სამეურნეო ნაწილის მეთვალყურე. ისინი მოვალენი არიან სკოლის ქონებას და მის ავ-კარგობას სათანადო მეთვალყურეობა გაუწიონ; ზოგი ერთი მათგანი კი, სკოლის დასათვალიერებლად, თუ საქმის გასაგებად, სხვა პირსა ჰგზავნის თავის მაგივრად.

რა გააკეთა შემოდგომის რევიზიამ? მოვიდა გასინჯა ეგრედ წოდებული (шнуровыя книги) შორიდან შეიხედა „შკაპებში“, წიგნები დაინახა და ის კი, არ იკითხა როდინდელი და რა ხნის იყო წიგნები. ფორმალური წესი შეასრულეს და წავიდნენ. ქალაქის თვითმმართველები მოვალეა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს ყოველი ნათლიმამობა მოსპონ. თუ ქალაქი საწყალი ხალხის ზურგიდან ფულებს იღებს, დიე იმავ ხალხს მოახმაროს იგი სამართლიანად.

**გულშემატკივარი.**

## პატარა ფელეტონი

### ტოლსტოის სამარესთან

ყოველ-დღიური ხვენები.

**პირვ. გლეხი** ძალიან ვუყვარდი განსვენებულ გრაფს (თავის ფხანით) ბატონო, იქნება „გადასახუხი“ მომეცით რამე.

**მეორე გლეხი.** ყოველ დღე წიგნს მასწავლიდა... ამისათვის „გადასახუხი“ მერგება მგონი...

**მესამე გლეხი.** სულ ჩემთან ერთად ჰხნავდა ხოლმე ზამთარ-ზაფხულ... „გადასახუხი“ რომ მოგეცათ...

კორესპონდენტები გამოსჩნდებიან ერთმანეთს ასწრობენ:

**პირვ. კორესპონდ.** რუსეთის დიდებულ მწერლის უკანასკნელი ლეგენდა, მობრძანდით, ინებეთ, კმაყოფილი დარჩებით...

**მეორე კორესპონდ.** მიჰქარავს!.. ლეგენდა თვითონვე დასწერა... არ დაუჯეროთ!..

**მესამე კორესპონდ.** ორივე მიჰქარავს. ნამდვილი მისი უკანასკნელი ლეგენდა მე მაქვს. მოისმინეთ „ერთხელ“.

**მეოთხე კორესპონდ.** არავითარი „ერთხელ“ არა ყოფილა. ტოლსტოი ლეგენდებს არ ამბობდა ხოლმე. ყოველთვის სხვები სთხზავდნენ. მისი ნამდვილი უკანასკნელი ლეგენდები მე მომკითხეთ.

ხალხი ძლივს გამოუსხლტება ხელიდან და განზე გადის.

გამოჩნდება ქანი **სტამო**, პირიდან დორბლებსა ჰყრის:

— ლევ ნიკოლოზის ძე ებრაელთა მოძულე იყო. თვითონ მე მითხრა, რომ ებრაელები არ მიყვარსო.

**ტენერემო.** თქვენზე რაღას ამბობდა ლევ ნიკოლოზის ძე?

**სტამო.** ჩემზე არაფერიც არ უთქვამს. ეს ჩემთვის ებრაელებსაც არ უკითხავთ.

**ტენერემო.** არა, უთქვამს, მხოლოდ ებრაელები ზრდილობიანი ხალხია და არ გამოაქვეყნეს.

**სტამო.** ყურს ნუ უგდებთ ამ ვაჟბატონს. ეგ თვითონ ისააკ ბორუხოვიჩია. ყურს ნუ უგდებთ.

კიბეზე ჩამოდის ლევ ლევის ძე უკან ვიღაც, ტყაპუჭაში გახვეული კაცი მოსდევს.

**ლევ ლევის ძე.** (ოხვრით) აი, ამ ჰუხის ქვეშ უყვარდა ჯდომა, აქ ფიქრობდა ახალს თხზულების გეგმას. ჩემი დიდებული მამა. რიგიან სტუმრებისთვის აქ ფანჩატური გაკეთეო...

**ტყაპუჭოსანი.** დიაღ, დიაღ, დიდებული აზრი მოგივიდათ.

**ლევ ლევის ძე.** აი, ამ თეთრ სვეტებზე კი განცხადება ჩამოვკიდეთ.

**ტყაპუჭოსანი.** დიაღ, დიაღ... განცხადება და ზედ ბილიარდიც დაიხატება.

**ლევ ლევის ძე** აქ მახლობლად პატარა ჰქლაა. დიდებულ მამაჩემს ძალიან უყვარდა იქ დასვენება. ურიგო არ იქნება იქ ტოტებზე, ელექტრონული ფარნები ჩამოვკიდოთ, ხეივნები გავაკეთო, მუსიკისთვის ესტრადა გავმართო.

ტუაპუჭოსანი. რა თქმა უნდა, უმუსიკობა როგორ გეკადრებათ... მოიწყენთ.

ლევ ლევის ძე. სახლი სასტუმროდ გადააკეთეთ. ყოველ ოთახის კედელზე უნდა წაეწეროს: „აქ დაიწერა „ანნა კარენინა“, აქ—„ომი და მშვიდობიანობა“ და სხვა სტუმრები თავსაც მოიწონებენ...

ტუაპუჭოსანი. ჭეშმარიტად... მამა თქვენმა, ასე ვთქვათ, თხზულება დასწერა, თქვენ კი ასე საზრიანად მსჯულობთ. მგზავრი სტუმარი ტუტუცია... კედელზე წააწერ რასმე და სიხარულით ცას დეეწევა... ეგ კარგი აზრი მოგივიდათ.

ლევ ლევის ძე. მამას საწერ მაგიდასაც მოგცემთ, წიგნების თაროსაც, სავარძელსაც, რომელზედაც იჯდა ხოლმე... ყველა ამისათვის, მამულიანად და კარ-მიდამოთი—სამ მილიონ მანეთს გამოგართმევთ.

ტუაპუჭოსანი. სამ მილიონს!?.

ლევ ლევის ძე. ძვირი არაა... ხაზინა ოთხსაც იძლევა, მაგრამ, უნდა გამოგიტყდეთ თქვენ რაღაც თვალში მომდიხართ. ამისთვის სამ მილიონად გითმობთ.

ლევ ლევის ძე და ტუაპუჭოსანი საუბრით ხელებს მიეფარებიან.

სამარესთან კვლავ მოგროვდებიან მომგონებელი—გლეხები, მოლაყენდე—კორესპონდენტნი, მსყიდველი—„მეგობარნი“... თ. ლ. დ. თრი.

# ღია წერილი

ღრმად პატივცემულო

ბ. ნიკოლოზ გიორგის ძე!

ამ თვის 26-ში სახალხო თეატრში ჩემს საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება „პატარა-კახი“, აფიშები დიდი ხანია გაკრულია, ბილეთები იყიდება და დღეს კი თქვენი დასი არღვევს ამავე პიესას. მე ჩემთავად ასეთი საქციელისათვის საკადრისი სახელი ვერ გამომიძებნია, თუმცა თავის თავად ცხადია, რომ ჩემი ხელის შეშლა გქონიად სახეში.

თქვენი პატივისმცემელი მსახიობი

იოსებ ივანიძე.

# განცხადებანი

◀ მშობიარეთათვის ▶

# თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—4-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—51)

სპეციალური

# სამკურნალო

კანისა, ვენერიული და შარდის სნეულებათა.

გოლოვინის ქ. N 9, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

ავადმყოფებს ყოველ დღე მიიღებენ ექიმები გ. ა. გედევანი და ი. მ. ზახლუდოვსკი 1—5 საათამდე და საღ. 7 ნახ.—8 ნან. მანდილოსანთა და ბავშვთა მიღება 4—5 საათამდე, ანალიზები, შეხვევა, ძიძათა მოსამსახურეთა და მუშათა შემოწმება.

შესვლის ფასი—40 კ. კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

ერლიხ-ხატას პრეპარატით 606 წამლობა, ელექტრონით წმრილი. (0—6—15)

მიმდინარე წლის 30 დეკემბრიდან

გაიხსნა

მუხრანსკის ახალი კერძო

# სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подьема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ნ. მ. ახპახოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. აბვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

კ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

გ. ა. მელქონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნ.ხ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—5—16)

სუსუნატის წინააღმდეგ

ახალი წამალი

„SALO-პირილინი“

სწრაფად და საფუძვლიანად მოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა, 1 მან. და 80 კ.

აგრეთვე კარგად მოქმედობს ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ მდინარეობასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ. Разъѣзжая N 7, Аптеки Б. Кончеима.

ფოსტა-დადებით იგზავნება. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით.

კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე საზოგადოებაში იშოვება.

Метцль. 12429. (45—4—1

# დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუღნინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან· და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ· და ბავშვთა ავად.

საღამოთი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. მ. გიევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 სათ. 606 წამლობა

კონსულტატიურად

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

ფირმა არსებობს 1840 წლ.

სავაჭრო ნიშანი

ფირმის წლ. შემოსავალ-გასავალი 50 მილ.

# უმაღლეს ხარისხის ჩაი გუბკინ კუზნეცოვის ამხ.-სა

იშოვება ყველგან

ნაღდ და ვალის ვაჭრობა ნარდად

ტფილისის კანტორა: ველიამინოვის ქ. № 12 ტელეფონ. № 964.

(20—140—11)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობის

# სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების მაღაზიას

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია ღვინის ორაგული (სიომგა)

მიიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. გირ

აგრე იყიდეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—128—86)

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

# საპონი „ვაშენე“

ინგლისურ ქარხ. კლინალ ლიმიტედისა,

თეთრეულს 15 წუთში ჰრეცხავს, ხელით ქუქუნა და მანქანა არა სჭირდება. თუ სცდით, დარწმუნდებით, რომ ეს რეკლამა არ არის და თეთრეულს 1½ მაგიერ 6—8 წელიწადს ატარებთ.

იგი თეთრეულს სრულებით არ აფუჭებს.

მის ხმარებას განსაკუთრებული ცოდნა არა სჭირდება.

რადგანაც ყალბად დამზადებული, როგორც გარეგნულად, ისე სახელწოდებითაც „ვაშენეს“ ამსგავსებენ, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ოქროს მედალს, რომელიც მთავრობის მიერ დამტკიც. დამღაზეა № 10490—12752, ხოლო ინგლისურ პატენტზე № 295350.

მოითხოვეთ ყველგან.

მთავარი წარმომადგენელი ვიქტორ ზატკალინი,

მთელის ამიერ-კავკასიის წარმომადგენელნი ზ. ნ. ხახხიანცი და ტ. ზ. ბახშინოვი.

С.-Петерб., Ст. Больш. пр., № 92.

Тифлисъ, Елизаветинская, № 192.

(5—322—1)

ქ. თელავში

ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

# ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით.

ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად: ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

სოფიო ი. სიმონოვის მიერ.

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.

(100—336—11)

მშობიარეთა თავ-შესაფარი

ბებია ქალი

# მ. ი. კრემერისა

ნიკოლოზის ქ. სახ. № 47.

მშობიარენი და ორსული ქალები მიიღებიან დროს განუსაზღვრელად—დღითაც და ღამითაც. მშობიარეთ კარგად უვლიან, საექიმო დახმარებას მუდამ უწევენ, არის ოთახები ისეთ მშობიარეთათვის, რომელთაც საიდუმლოდ სურთ მოილოგინონ. პირობები საერთო პალატაში 2 მ. დღეღამეში, მშობიარობის დროს დახმარება 6 მანეთი, ნომერში მოსათავსებელ და გინეკოლოგიურ ავადმყოფთ ფული გადახდებათ წინასწარ მორიგების თანხმად. ქალთა სენით ავათმყოფთა მიღება და ძიძების გასინჯვა ყოველ-დღე დილის 12½—1½ საათამდე (100—276—14)

# ტფილისის საბირჟო არტელი

პასუხის-მგებელ მოსამსახურეებისა

ვაჭრობისა ყველა დარგისათვის შესაფერ მეარტელეებს იძლევა.

წელიწადის მე-2 მეხლის ქაღალდით კისრულობს:

საქონლისა და სიოჯახო ნივთების მიღება-გაგზავნას.

სხვა და სხვა დაწესებულებათა და კერძო პირთა სავაჭრო მინდობილებას ასრულებს.

აღნიშნულ საქმეს ტფილისში არსებულ ფასებზე ნაკლებ იღებს.

დაწესებულებათა, ღდ ფირმათა ნდობით აღჭურვილ პირთათვის არტელი ყოველგვარ ხარჯს (საოქმოებში ბეჭდ, სადგურის მუშათა ხელ-ფასის გასტუმრებს და სხვა), არტელის თანხიდან ჰფარავს და კლიენტებისაგან ნაწილ-ნაწილ გადადგებს, თანხის მიხედვით.

ყოველ-გვარ ზარალს არტელი თავის სათადარიგო თანხიდან ასტუმრებს, რომელიც საბირჟო კომიტეტის ხელშია, როგორც სხვა თანხებიც.

ახალ წევრთა მიღება გრძელდება.

გამგეობა: Армянскiй баз. 9. Кредитн. О-ва, № 6, Телеф. № 348. ПРАВЛЕIЕ.

(3—398—3)



ქუთაისი ალექსანდროვის ქ.

# ალექსანდრე თაბაგრის მაღაზია საკერავი და საქსოვი მაშინები

გრამოფონები, ველოსიპედები



და მათი მოწყობილება დამზადებულია საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებში, რის სიკარგეშიც ვიძლევი გარანტიას. ფასები საქარხნოა (ზომიერია), როგორც ნაღდზედ, აგრეთვე ნისიათ (თვიურად შემოტანით). ჩვენს საკერავ მაშინებს აქვს წარწერა. „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАБАГАРИ КУТАИСЪ“, რომელიც უტყუარია და მყიდველებიდგანაც მაქვს მადლობის წერილები. მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფრის კარგად და ზომიერ ფასებში

გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოდის ყოველ კვირა.

(50—269—8) ფოსტის ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

# საკერავი მაშინა ზინგერის კომპანიისა

იყიდება

მხოლოთ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში

ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ 1 მანეთიდან

ხელის მაშინები ფასად 25 მანეთიდან

მაღაზიის ნიშანი.

უფრთხილდით სიყალბეს

მაღაზიები ყველა ქალაქებში.

(0—246—9)

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

# საბუღალტერო კურსები ნ. ვ. აბრამიანისა.

სახელმძღ. „ვაჭრობ. და ნავთის წარ. ბუღალტერიის სახელმძღვანელოს“ ავტორი, რომელიც მოწონებულია ფინან. სამინისტრ. სამეცნ. განყოფილ. მიერ, როგორც სახელმძღვანელო კომერციულ სასწავლებელთათვის,

◀ ასწავლიან და ამზადებენ ორივე სქესის პირთ ▶

უკანასკნელ გაუმჯობესებულ მეთოდით ოთხის თვის განმავლობაში სხვა და სხვა სისტემის ბუღალტერიას და სახომერციო სპეციალურ საგნებს. გარდა არსებულ საგანთა სწავლებისა, კურსებზე ასწავლიან უცხო ენებს, სტენოგრაფიას და რემინგტონს.

კურსების მასწავლებლებად უმაღლეს სასწავლებელში კურსდამთავრებულნი და თავიანთ საგნის სპეციალისტები არიან.

სწავლა დაიწყება 15 იანვარს 1911 წ. პერიოდულად ყოველ 4 თვეში ნაზადილევს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე, საღამოს 4—7 საათ. და დილის 9—12 საათამდე. კურსის შესრულების შემდეგ ეძლევა ატესტატი ფინანსთა მინისტრის ნებართვით.

ამას გარდა კურსებთან ცალკე გახსნილია საგანგებო რუსულ ენისა და არითმეტიკის მოსამზადებელი კურსები ნაკლებად მომზადებულთათვის.

წესდება და პროგრამები ეგზავნებათ მსურველთ უფასოდ. მსურველმ უნდა მიმართონ წერილობით ან პირადად. კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, N 22. ტელეფონი 744.

ხელმძღვანელო-დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორისაგან ფასდადებით გამოიწერს—გასაგზავნ ფულს არ იხდის. ფასი თითო ცალისა 3 მ. 50 კ. (0—292—12)

# პატეფონი

ძმათა პატე პარიზში.

საუკეთესო მოლაპარაკე მანქანა

ნემსების გამოცვლა არა სჭირდება, არა ხრიალებს ფირფიტები, არა ფუჭდება!

ახალი ამბავი: პატეფონი უერუპორო.

№ 1 ფასი 50 მან. № 3 ფასი 65 მან.

ფირფიტების დიდი რეპერტუარი ყველა ენებზე

კავკასიაში ახლად ჩაწერილები. საზოგადოების სათაყვანო ა. დავიდოვის ჩაწერილები

ნოემბრის გამოჩენილი ფირფიტები:

ა. მ. დავიდოვი
არტისტი იმპ. მარიინის ოპერისა.
24374. არია, ოპ „აფრიკანკა“, აკ. ორკ. (მეიერისა).
24373. „უკანასკნელია დღევანდელი დღე“, აკ. გიტარისა, პროფ. ამირისა.

ნ. ვ. პლევიცკისა.
(საუკეთესოდ შემსრულებელ რუსულ ხალხურ სიმღერებისა).
26640. „უხარ კუპეც“.
26730. „უკანასკნელია დღევანდელი დღე“.

ციგანთა ორკესტრი
39425. ა) „ორჯელ ჰყვავის აკაცია“ და ბ) ვადაჩონ“, ჩორდაშ.
39457. „ალტაცება“, ვალსი.
39453. „როს სიყვარული ჰქრება“, ვალსი კრემიესი.
39469. „სცვივიან ფოთოლნი ცაცხვისა“ და „ბალატინის ტალღებზე“.

მ. ა. მესკისა.
სათეატრ არტისტ.
27245. „ნატვრა“, აკ. როიალი.
27251. „მიწყნარებ. ზღვასთან“. აკკ. როიალის.
27246. „თქვენვე მიხვდით“. აკკ. როიალ.
27252. „ერთხელ ტყეში ვსეირნობდი“, როიალ. აკკ.

კავკასიის აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების იჯარადარი.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კარლ შუმან. ტფილ. გოლოვინის პროსპ.

(9—247—8)